საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

№ 119 21 ბ რ ძ ა ნ ე ბ ა 7. 07. 2022 წ.

MES 4 22 0000771370

07/07/2022

სსიპ-აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიული განათლების ცენტრის მიერ დავალიანების სალიკვიდაციო პერიოდში განხორციელებადი სასწავლო პროცესისა და ანაზღაურების ნორმების შესახებ

აწსუ-ს პროფესიული განათლების ცენტრის დებულებისა და პროფესიული განათლების ცენტრის სასწავლო პროცესის და ხარისხის უზრუნველყოფის მარეგულირებელი წესის მუხლი 31-ის (სასწავლო განრიგი-სასწავლო საგანმანათლებლო პროცესის კალენდარი) და მუხლი 42-ის (დაუდასტურებელი მოდულის/შედეგის გავლა-ათვისება) მოთხოვნათა გათვალისწინებით პროცესის ორგანიზებულად წარმართვის მიზნით ვბრძანებ:

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით პროფესიული განათლების ცენტრის სასწავლო პროცესისა და ხარისხის უზრუნველყოფის მარეგულირებელი წესის მოთხოვნათა გათვალისწინებით დავალიანების სალიკვიდაციო პერიოდებში დაუდასტურებელი მოდულის/შედეგის გავლა-ათვისებაზე პროფესიულ სტუდენტს ნება დაერთოთ აითვისონ არა უმეტეს 144 სასწავლო-საკონტაქტო (საკონტაქტო+შეფასება) საათისა.
2. პროფესიულ სტუდენტთა რეგისტრაცია განხორციელდეს პროფესიული განათლების ცენტრში.
3. პროფესიულ სტუდენტთა განცხადებების მიღება (განცხადებას თან უნდა დაურთოს სწავლის საფასურის გადახდის ქვითრის ასლი) განხორციელდეს არაუგვიანეს დავალიანების სალიკვიდაციო პერიოდის დაწყებისა.
4. დავალიანების სალიკვიდაციო პერიოდებში პროფესიული სტუდენტის დაუდასტურებელი მოდულის/შედეგის გავლა-ათვისების სწავლის საფასური განისაზღვროს შესაბამისი მოდულის/შედეგის სასწავლო-საკონტაქტო (საკონტაქტო+შეფასება) საათების რაოდენობის მიხედვით ყოველ საათზე 5 ლარით.
5. დაევალოს პროფესიული განათლების ცენტრის ხელმძღვანელს:

- პროფესიულ სტუდენტთა განცხადებების და დაუდასტურებელი მოდულის/შედეგის გავლა-ათვისებაზე სწავლის საფასურის გადახდის ქვითრის წარმოდგენის საფუძველზე, წარმოადინოს მოთხოვნა ბრძანების დამვებაზე მოდულის/შედეგის განხორციელებისა და განმახორციელებელის/ პროფესიული განათლების მასწავლების მოწვევის შესახებ;
- ჩატარებული სასწავლო პროცესის და შესრულებული სამუშაოს ანაზღაურების მონაცემები დროულად წარადგინონ სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის სასწავლო-მეთოდურ განყოფილებაში.

1. დაუდასტურებელი მოდულის/შედეგის გავლა-ათვისებაზე სასწავლო პროცესის განმახორციელებლის/პროფესიული განათლების მასწავლებლის ანაზღაურება განისაზღვროს:

ა. ჯგუფში 1 სტუდენტის მიხედვით ყოველ სასწავლო-საკონტაქტო საათზე -8 ლარი.
ბ. ჯგუფში 2 სტუდენტის მიხედვით ყოველ სასწავლო-საკონტაქტო საათზე -9 ლარი.
გ. ჯგუფში 3 სტუდენტის მიხედვით ყოველ სასწავლო-საკონტაქტო საათზე -10 ლარი.
დ. ჯგუფში 4 სტუდენტის მიხედვით ყოველ სასწავლო-საკონტაქტო საათზე -11 ლარი.
ე. ჯგუფში 5 და მეტი სტუდენტის ყოველ სასწავლო-საკონტაქტო საათზე -12 ლარი.

1. პროფესიული სტუდენტის შემონატანის ზევით მოდულის /შედეგის გავლა-ათვისებასთან დაკავშირებული ხარჯები შეივსოს, განხორციელდეს პროფესიული პროგრამის დაფინანსების ფარგლებში არსებული ფინანსური რესურსებით და/ან ადმინისტრირების კოეფიციენტით დაშვებული დაფინანსების თანხებით.

საფუძველი: აწსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 18.05.2022 ს. № 94 დადგენილება "სსიპ-აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიული განათლების ცენტრის დებულების დამტკიცების თაობაზე", აწსუ-ს რექტორის 20.06.2022 წ. № 01-04/36 ბრძანება "სსიპ-აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიული განათლების ცენტრის სასწავლო პროცესისა და ხარისხის უზრუნველყოფის მარეგულირებელი წესის შესახებ". აწსუ-ს რექტორის 29.06.2022 წ. №01-04/41 ბრძანება „პროფესიული განათლების სწავლების პროგრამებზე 2021-2022 სასწავლო წლის განრიგი დაზუსტების შესახებ“.

სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
რექტორი როლანდ კოპალიანი

სასწავლო პროცესის მართვის სამსახური
სამსახურის უფროსი ბასილაძე იმერი

პროფესიული განათლების ცენტრის
ხელმძღვანელი სერგო სვანაძე